დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2025 წლის 29 მაისი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილების დანართ №1-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილების(www.matsne.gov.ge 14/12/2021, 010250050.35.156.016426) №1 დანართში შევიდეს ცვლილება, **კერძოდ:**

1. მე-3 მუხლი მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვა და დამტკიცება;“.

2. VI თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკრებულოს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“

3. VI თავის 35-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იქმნება ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.”

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალთა და ბავშვთა უფლებებზე მომუშავე საბჭოს შექმნის წესი, შემადგენლობა, უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება ქალთა და ბავშვთა უფლებებზე მომუშავე საბჭოს დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საკრებულო.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ყულიაშვილი